

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია



დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების
მიმოხილვა სამოსამართლო ქცევის კომისიის პრაქტიკის
მიხედვით

კალიფორნია
აშშ

მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები - კალიფორნიის კონსტიტუციის მე-18 მუხლი

- განზრახი არამართლობიერი ქცევა (willful misconduct)
- მოსამართლის ვალდებულებათა სისტემატური შეუსრულებლობა (Persistent failure to perform judicial duties)
- მართლმსაჯულებისთვის საზიანო ქცევა, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს (conduct prejudicial to the administration of justice that brings the judicial office into disrepute)
- არაეთიკური ქცევა ან ვალდებულებათა უგულვებელყოფა (improper action or dereliction of duty)
- სულ შესწავლილი იქნა 231 ეპიზოდი (130 საქმე)

მიკერძოების შთაბეჭდილება/წინასწარი განწყობის გამოვლენა საქმეზე

- მაგალითები:
- მხარის მიმართ აშკარა სიმპათიის ან ანტიპათიის დემონსტრირება
- მხარის დადანაშაულება ტყუილში
- ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის გაკრიტიკება ან შექება
- სტერეოტიპების გამოვლენა (კონკრეტული ტიპის ბრალდებულთა მიმართ)
- მოსამართლე სხდომის შემდეგ გადაეხვია ბრალდებულს
- მოსამართლემ პროცესზე განაცხადა რომ ამ საქმის განხილვა არის დროის ფუჭი ფლანგვა
- მაგ. მოსამართლემ ერთ სისხლის სამართლის საქმეზე განაცხადა რომ მისი ვაჟიც ისევე მოიქცეოდა როგორც მოიქცა ბრალდებული.

მხარეთა და სხვა პირთა არაჯეროვანი მოპყრობა/მიმართვა, სექსუალური შევიწროება

- მაგალითები:
- დაცინვა, დამცირება (გარეგნობის, ეთნიკურობის გამო), დაყვირება
- ცინიკურად მიმართვა მხარეებისადმი
- სასამართლო პერსონალის გაკიცხვა და დამცირება მოქალაქეთა თვალში
- ადვოკატის კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება კლიენტის წინ
- სექსუალური ხაზიათის შეთავაზებები/მიმართვა აპარატისადმი
- *მოსამართლემ ბრალდებულს უთხრა, რომ ციხეში მისი ღიმილი მოეწონებოდათ*
- *დაამცირა ადვოკატის საუნივერსიტეტო განათლება*

შეუფერებელი ქცევა, უპატიოსნო ქცევა

- მაგალითები:
- ცრუ ინფორმაციის წარმოდგენა შვებულების ხარჯების გასაზრდელად
- განხილული საქმეების თაობაზე ცრუ ინფორმაციის წარმოდგენა ხელფასის ასაღებად
- მოსამართლემ წარმოადგინა ცრუ ინფორმაცია სამოსამართლო კონკურსში მონაწილეობის წინ, მან ასევე იცრუა თავისი წარსულის შესახებ საჯარო გამოსვლებში
- ნასვამ მდგომარეობაში ავტომანქანის მართვა
- უხამსი ხუმრობები ადვოკატებთან , ჟურნალისტებთან
- სასამართლოში მთვრალი გამოცხადება

საქმეთა განხილვის გაჭიანურება

- სამოქალაქო საქმეთა განხილვა სამთვლიანი ვადების დარღვევით
- დაგვიანებული პასუხები მხარეთა შუამდგომლობებზე

სამსახურებრივი მდგომარეობის/სამსახურებრივი პრესტიჟის ბოროტად გამოყენება პირადი ინტერესებისთვის

- მაგალითები
- პოლიციის ჯარიმებისგან თავის დასაღწევად
- სამსახურებრივი ბლანკის გამოყენება პირადი საქმეებისთვის
- მოსამართლემ დაურეკა ადგილობრივ პოლიციას და სთხოვა გაეუქმებინათ მის შვილზე გამოწერილი ჯარიმები.
- მოსამართლემ საფინანსო დაწესებულებას მიმართა საჩივრის წერილით (სადაც ის უჩიოდა ფულის გადარიცხვის დაყოვნებას), რომელიც დაბეჭდილი იყო სასამართლოს ბლანკზე.
- სასამართლო პერსონალის დახმარებით პირადი მიზნებით შეაღწია ავტომანქანების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზაში და მოიპოვა კონკრეტული მანქანების მფლობელების შესახებ)

ცალმხრივი კომუნიკაცია, მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა

- მოსამართლის მიერ საკუთარი მეგობრების საქმეების თავის თავზე დაწერა და შელავათიანი გადაწყვეტა (ჯარიმების მოხსნა) (ან დაჩქარებული წესით განხილვა)
- ცალმხრივი კომუნიკაცია სხვა მოსამართლესთან საქმეზე ზეგავლენის მიზნით (მათ შორის ცალმხრივი ინფორმაციის მიწოდება საქმეზე)
- საქმეზე საკუთარი ინიციატივით გარე ინფორმაციის მოძიება (მოსამართლემ დაურეკა მოწმეს და გამოკითხა საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტები)
- მოსამართლემ თავის კოლეგას თხოვა მისი ნაცნობისათვის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება
- მოსამართლემ მას შემდეგ რაც აიცილა სისხლის სამართლის საქმე, კომუნიკაცია დაამყარა თავის შემცვლელ მოსამართლესთან საქმის არსთან დაკავშირებით და აუხსნა მიზეზები თუ რატომ დაადგინა გირაოს კონკრეტული თანხა.
- აცილების შესაძლო საფუძვლის გაუმჟღავნებლობა მხარეებისთვის (მაგ. ის რომ მოსამართლეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მხარესთან)

მხარეთა უფლებების დარღვევა/სასამართლოს უპატივცემლობისთვის სანქციების ბოროტად გამოყენება

- მოსამართლეს სხდომის ოქმში შეჰქონდა ცრუ ინფორმაცია თითქოს ბრალდებულები უარს ამბობდნენ საქმის დაჩქარებული წესით განხილვაზე
- მოსამართლემ არ დაუნიშნა პირს დამცველი, რომელის დანიშვნაც სავალდებულო იყო კანონით
- მოსამართლემ ბრალდებულები ცნო დამნაშავედ გამოსაცდელი ვადის პირობების დარღვევისათვის და მიუსაჯა საპატიმრო სასჯელები, მათთვის კონსტიტუციური უფლებების, ბრალის არსის განმარტებისა და საქმის არსებითი განხილვის გარეშე.
- წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლემ არ გადადო საქმის განხილვა, იმის მიუხედავად რომ ბრალდებულმა განაცხადა მას სურდა ადვოკატის აყვანა.
- მოსამართლემ სამოქალაქო საქმის განხილვის დროს, მოწმის დაკითხვის დამთავრებამდე დატოვა დარბაზი, ისე, რომ მხარეებისთვის არ უთქვამს პროცესის გადადების ან შესვენების შესახებ. მხარეებმა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყვეს, რომ მტკიცებულების წარმოდგენა დასრულდა და მათ შეემლოთ შემაჯამებელი არგუმენტების წერილობით წარმოდგენა.
- მოსამართლემ შემაკავებელი ორდერი გასცა ყოველგვარი სამართლებრივი წინაპირობის (მოთხოვნის, საქმის განხილვის, მხარეთა არგუმენტების მოსმენის) გარეშე. მხოლოდ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მან შემთხვევით შეიტყო სამოქალაქო საქმის განხილვისას.

სასამართლო რესურსის გამოყენება პირადი მიზნებისთვის

- მოსამართლემ თავისი პირადი კორესპოდენციის შედგენა და გაგზავნა დაავალა სასამართლოს კლერკს.
- მოსამართლემ თანაშემწე გამოიყენა პერსონალური სახის წერილების შესადგენად.
- მოსამართლემ სასამართლო აპარატი გამოიყენა თავისი საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად.

კომენტარი მიმდინარე საქმეზე

- პირდაპირ სატელევიზიო ეთერში კომენტარი გააკეთა განხილვაში მყოფ არასრულწლოვანის საქმეზე (თუმცა არასრულწლოვანის ვინაობა არ გაუმხელია, მაგრამ საქმის დეტალები იძლეოდა ამოცნობის საშუალებას).

უფლებამოსილების გადამეტება


- მოსამართლემ მხარეებს მოსთხოვა დოკუმენტების წარმოდგენა, რომლებსაც შემხებლობა არ ჰქონდა განხილვაში არსებულ სამოქალაქო საქმესთან წინააღმდეგ შემთხვევაში დაემუქრა სასამართლოს უპატივცემულობისთვის.
- მას შემდეგ რაც მოსამართლემ აიცილა საქმე, თავად შეარჩია ამ საქმის განმხილველი მოსამართლე

არაჯეროვანი პოლიტიკური საქმიანობა, საარჩევნო რეგულაციების დარღვევა

- მოსამართლემ დაარღვია კანონი პოლიტიკური რეფორმების შესახებ, კერძოდ მან არ განაცხადა რამდენიმე ფულადი შემოწირულობის შესახებ, რომელიც მიიღო წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას.


ადმინისტრაციული ფუნქციების არაჯეროვანი განხორციელება

- სასამართლოს თავმჯდომარემ კლერკი და მანდატური სადილად წაიყვანა და სასამართლო დახურა რამდენიმე საათის განმავლობაში. რამაც გამოიწვია გარკვეული საქმეების შეფერხება.
- სასამართლოს თავმჯდომარემ არ შეადგინა და არ დაუგზავნა მოსამართლეებს ვადაგადაცდილებული საქმეების ნუსხა
- სასამართლოს თავმჯდომარემ ასევე დროულად არ გამოიძია და გასცა პასუხი მოქალაქეთა საჩივრებზე საქმის გაჭიანურებასთან დაკავშირებით (რითაც არ შეასრულა სასამართლო რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნა)
- სასამართლოს თავმჯდომარემ არ გააკეთა რეაგირება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენაზე




- მიკერძოების შთაბეჭდილება/წინასწარი განწყობის გამოვლენა საქმეზე
- მხარეთა და სხვა პირთა არაჯეროვანი მოპყრობა, არაჯეროვნად მიმართვა, სექსუალური ხასიათის წინადადებები აპარატისადმი
- შეუფერებელი, უპატიოსნო ქცევა
- საქმეთა განხილვის გაჭიანურება, გადაწყვეტილების დაგვიანება
- სამსახურებრივი მდგომარეობის/სამსახურებრივი პრესტიჟის ბოროტად გამოყენება პირადი ინტერესებისთვის
- არაჯეროვანი პოლიტიკური საქმიანობა, საარჩევნო რეგულაციების დარღვევა
- ცალმხრივი კომუნიკაცია, მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა
- მხარეთა უფლებების დარღვევა
- სასამართლო რესურსის ბოროტად გამოყენება
- მიმდინარე საქმეზე კომენტარი
- აკრძალული/შეუთავსებელი საქმიანობები
- უფლებამოსილების გადამეტება
- უფლებამოსილების გადამეტება/მხარეებზე ზეწოლა, მუქარა
- ადმინისტრაციული ფუნქციების/ვალდებულებების არაჯეროვანი განხორციელება

- მხარეთა და სხვა პირთა არაჯეროვანი მოპყრობა, არაჯეროვნად მიმართვა, სექსუალური ხასიათის წინადადებები აპარატისადმი
- ცალმხრივი კომუნიკაცია, მიუკერძოებლობის ვალდებულების დარღვევა
- მიკერძოების შთაბეჭდილება/წინასწარი განწყობის გამოვლენა საქმეზე
- მხარეთა უფლებების დარღვევა
- შეუფერებელი, უპატიოსნო ქცევა
- სამსახურებრივი მდგომარეობის/სამსახურებრივი პრესტიჟის ბოროტად გამოყენება პირადი ინტერესებისთვის
- უფლებამოსილების გადამეტება



ციფრები ასახავენ ეპიზოდების საერთო რაოდენობას

- უფლებამოსილების გადამეტება/მხარეებზე ზეწოლა, მუქარა
- ადმინისტრაციული ფუნქციების/ვალდებულებების არაჯეროვანი განხორციელება
- სასამართლო რესურსის ბოროტად გამოყენება
- საქმეთა განხილვის გაჭიანურება, გადაწყვეტილების დაგვიანება
- არაჯეროვანი პოლიტიკური საქმიანობა, საარჩევნო რეგულაციების დარღვევა
- მიმდინარე საქმეზე კომენტარი
- აკრძალული/შეუთავსებელი საქმიანობები



ციფრები ასახავენ ეპიზოდების საერთო რაოდენობას

საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია



2015 წელი